დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2025 წლის 1 სექტემბრის №130 ბრძანებით

ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის
პროგრამა და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კონკურსის ბიუჯეტი 2025 წლისათვის შეადგენს 400 000 ლარს. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანებითა და ფონდის გენერალური დირექტორის ამ ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

2. კონკურსის მიზანია უზრუნველყოს ქართველოლოგიის მიმართულებით ახალი ჰიპოთეზებისა და კონცეფციების, შეუსწავლელი ან უცნობი მოვლენების, ფაქტებისა თუ მონაცემების შესწავლა-ანალიზი და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კვლევების განხორციელება; ხელი შეუწყოს ქართველოლოგიის მიმართულებით ახალი ცოდნისა და კვლევის რესურსების შექმნას, სასწავლო პროცესებში ინტეგრაციას, საერთაშორისო გავრცელებასა და პოპულარიზაციას, ქართველოლოგიის მეცნიერებაში ახალგაზრდა ტალანტების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდას. გრძელვადიან პერსპექტივაში დაფინანსებულმა კვლევამ ხელი უნდა შეუწყოს ქართველოლოგიის სფეროს გაძლიერებას და მის ჩართვას სახელმწიფო ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში.

3. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება კვლევა, რომელიც პასუხობს ერთ-ერთს შემდეგი თემატური პრიორიტეტებიდან:

ა) სახელმწიფო ენის სტანდარტიზაცია (ქართული სალიტერატურო ენის ნორმების და დარგობრივი ტერმინოლოგიის განახლება; სახელმწიფო ენის სტანდარტიზაციისთვის ელექტრონული რესურსების შექმნა); ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ენების დოკუმენტირება; ქართული და აფხაზური ენების სწავლების მეთოდოლოგიური რესურსებისა და დისტანციური სწავლების საშუალებების შექმნა; ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება; სახელმწიფო ენის ფუნქციონირება ინტერნეტ სივრცეში, ქართულენოვანი ინტერნეტის განვითარება; ქართული და აფხაზური ენების პოპულარიზაცია;

ბ) ქართული ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების ფუნდამენტური კვლევების განხორციელება, ახალი ცოდნის შექმნა და პოპულარიზაცია;

გ) ისტორიული წყაროების, არტეფაქტებისა და ძეგლების შესახებ სამეცნიერო კვლევების განხორციელება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალი ცოდნის შექმნა და მეცნიერული ინტერპრეტაცია; თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის შესახებ ცოდნის გავრცელებასა და პოპულარიზაციაში;

დ) საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული

მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლა, მათი მოძიება, აღრიცხვა და სისტემატიზაცია, ქართველი ერის სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაცია.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მოიცავს ორ და მეტ თემატიკას, პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, თავად განსაზღვროს პროექტის ძირითადი მიმართულება.

5. კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია შემდეგი მიმართულებებისა და დარგების ფარგლებში:

ა) ქართული ენა, აფხაზური ენა და ქართველური ენობრივი მრავალფეროვნება
- ა.ა) ქართული და ქართველური ენები (მათ შორის სვანური, მეგრული, ლაზური);
- ა.ბ) აფხაზური ენა;
- ა.გ) საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნება (მათ შორის ქართული დიასპორის დიალექტები, ქართული ჟესტური ენა);
- ა.დ) ენობრივი ტექნოლოგიები;
- ა.ე) ენათმეცნიერების სხვა დარგები.

ბ) ქართული ლიტერატურა
- ბ.ა) ლიტერატურის ისტორია, თეორია, შედარებითი კვლევები;
- ბ.ბ) ქართული ლიტერატურა;
- ბ.გ) ნათარგმნი ლიტერატურა და ლიტერატურული ურთიერთობები;
- ბ.დ) ლიტერატურათმცოდნეობის სხვა დარგები.

გ) ქართული ხელოვნება
- გ.ა) სახვითი ხელოვნება;
- გ.ბ) საშემსრულებლო ხელოვნება;
- გ.გ) ხელოვნების სხვა დარგები.

დ) ქართული კულტურა
- დ.ა) მუზეოლოგია; კოლექციებისა და გამოფენების კვლევა;
- დ.ბ) კონსერვაცია და რესტავრაცია;
- დ.გ) კულტურის კვლევები.

ე) საქართველოს ისტორია და არქეოლოგია
- ე.ა) საქართველოს ისტორია;
- ე.ბ) არქეოლოგია და პალეონტოლოგია;
- ე.გ) ეთნოლოგია და ანთროპოლოგია;
- ე.დ) ისტორიისა და არქეოლოგიის სხვა დარგები.

ვ) საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა
- ვ.ა) საქართველოს ისტორიულ საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობა;
- ვ.ბ) საზღვარგარეთის ცალკეულ ქვეყანაში ან მხარეში არსებული მემკვიდრეობა.

6. პროექტის განხორციელების შედეგად მიღწეულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი სავალდებულო მიზანი და ასევე შესაძლებელია დამატებით (არჩევითი) მიზნის მიღწევა, ესენია:

ა) სავალდებულო მიზანი:

ა.ა) ახალი ცოდნის შექმნა და დისემინაცია - აკადემიური პუბლიკაციების გამოქვეყნების და/ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენის გზით;

ა.ბ) თანამედროვე სტანდარტების სამეცნიერო-აკადემიური დანიშნულების დიგიტალური რესურსის ან/ და ელექტრონული პროდუქციის შექმნა და ინტეგრაცია საგანმანათლებლო პროცესში;

ა.გ) ქართველოლოგიის შემდგომი განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება და კომუნიკაცია საინფორმაციო არხებით;

ა.დ) ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა მათი კვლევებში ჩართვის ან მათთვის სასწავლო-მეთოდური რესურსების შექმნის გზით;

ა.ე) ახალი ცოდნის პოპულარიზაცია საჯარო ლექციების, გამოფენების, ექსპოზიციების, მასტერკლასების ორგანიზების, მედიაში გაშუქების ან ინტერნეტსივრცეში გავრცელების, ან ციფრულ პლატფორმებზე განთავსების გზით.

ბ) არჩევითი მიზანი:

ბ.ა) საერთაშორისო თანამშრომლობის დაწყება-გაფართოება უცხოეთში არსებულ ქართველოლოგიურ სკოლებთან ან ცენტრებთან;

ბ.ბ) ქართველოლოგიის პოპულარიზაცია უცხოეთში ლექციების, მასტერკლასების, გამოფენების, ექსპოზიციების, ჩვენებების, დისკუსიების ორგანიზების გზით.

7. აკადემიურ პუბლიკაციად ფონდის მიერ განიხილება:

ა) პუბლიკაცია - გამოქვეყნებული იმ საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში (ჟურნალები, წიგნები და კრებულები), რომლებიც ინდექსირებულია: Scimago Journal Ranking რეიტინგში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct), Clarivate (Web of Science), ERIH plus ბაზებში.

ბ) მონოგრაფია - დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/ საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში ფინანსდება ინდივიდუალური და გუნდური პროექტები.

2. დაფინანსების მოპოვების მიზნით საკონკურსო განაცხადის წარდგენა შეუძლია **პროექტის ხელმძღვანელს**, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე ან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე და ფლობს დოქტორის, მაგისტრის, ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, ან არის დოქტორანტურის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელიც კონკურსში პროექტის წარმოდგენის მომენტისათვის ირიცხება დამამთავრებელ ან მის წინა კურსზე.

3. **ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში** გრანტის მიმღებია ერთი მკვლევარი - პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

4. **გუნდური პროექტის შემთხვევაში** გრანტის მიმღებია გუნდი, რომელიც წარმოდგენილია: მკვლევართა გუნდით (ძირითადი პერსონალით) და წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციით. გუნდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) **მკვლევართა გუნდის წევრი** შეიძლება იყოს: საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, ასევე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი; უნდა ფლობდეს დოქტორის, მაგისტრის, ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, ან იყოს დოქტორანტურის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ასევე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელიც კონკურსში პროექტის წარმოდგენის მომენტისათვის ირიცხება დამამთავრებელ ან მის წინა კურსზე;

ბ) პროექტს უნდა ჰყავდეს **წამყვანი ორგანიზაცია** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანი არის სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

გ) **პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანამონაწილე ორგანიზაცია** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

5. გრანტის მიმღები სუბიექტების პასუხისმგებლობები განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის დებულების მე-4 მუხლით დადგენილი წესით.

6. ინდივიდუალურ და გუნდურ პროექტებში ასევე შესაძლებელია:

ა) ჩართული იყოს **დამხმარე პერსონალი** - პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. დაუშვებელია დამხმარე პერსონალმა შეასრულოს ძირითადი პერსონალის ფუნქციები (მაგალითად, ძირითადი პერსონალისაგან დამოუკიდებლად წარადგინოს პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე, განახორციელოს კვლევითი ვიზიტი საზღვარგარეთ, დაწეროს სტატია და მონოგრაფია). დამხმარე პერსონალი არ არის გრანტის მიმღები;

ბ) არსებობდეს **თანადამფინანსებელი** - იურიდიული ან ფიზიკური პირ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც ფონდთან ერთად აფინანსებს/აფინანსებენ პროექტს;

7. **კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება** ფიზიკურ პირს, თუ იგი ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულია:

ა) ამავე კონკურსზე წარმოდგენილ ორ ან მეტ პროექტში;

ბ) ერთზე მეტ მიმდინარე პროექტში, რომელიც დაფინანსებულია ფონდის მიერ ადმინისტრირებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში. ეს აკრძალვა არ ვრცელდება ისეთი პროექტის შემთხვევაში, რომლისთვისაც მიმდინარეობს ბოლო საანგარიშო პერიოდი კონკურსის გამოცხადების მომენტისთვის და არ არის მოთხოვნილი დამატებითი ვადა კონკურსის შედეგების გამოცხადებამდე;

გ) ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელიც შეწყდა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო კონკურსის გამოცხადებამდე არაუმეტეს ბოლო 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6, 12, 18 ან 24 თვე და დაგეგმილი უნდა იყოს 6 თვიან საანგარიშო პერიოდებად. შესაბამისად, პროექტი შეიძლება დაიგეგმოს 1, 2, 3 ან 4 საანგარიშო პერიოდად.

2. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური პროექტის ხელმძღვანელი ან გუნდური პროექტის ძირითადი პერსონალიდან არც ერთი პირი არ ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს, პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6 ან 12 თვე (შესაბამისად, დაგეგმილი უნდა იყოს 1 ან 2 საანგარიშო პერიოდად).

3. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 150 000 ლარს.

4. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს/მუხლებს:
   ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
   ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
   გ) პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი ხარჯები;
   დ) ზედნადები ხარჯები (მხოლოდ გუნდური პროექტის შემთხვევაში).

5. **ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება** შეიძლება იყოს:
   ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე მკვლევრის, რომლისთვისაც აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან კონკურსის გამოცხადებამდე გასულია 7 წელზე მეტი, საგრანტო დაფინანსება ერთი პირისათვის არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს თვეში. 1 საანგარიშო პერიოდში პროექტში ჩართული ასეთი მკვლევრების დაფინანსება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 12 000 ლარს და 24 თვის განმავლობაში - 48 000 ლარს;
   ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე მკვლევრის, რომლისთვისაც აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან კონკურსის გამოცხადებამდე გასულია არაუმეტეს 7 წელი, საგრანტო დაფინანსება ერთი პირისათვის არ უნდა აღემატებოდეს 800 ლარს თვეში. 1 საანგარიშო პერიოდში პროექტში ჩართული ასეთი მკვლევრების დაფინანსება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 9 600 ლარს და 24 თვის განმავლობაში - 38 400 ლარს;
   გ) მაგისტრის, ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის, დოქტორანტურის, მაგისტრატურის ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის, საგრანტო დაფინანსება ერთი პირისათვის არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს თვეში. 6 თვიანი პროექტის შემთხვევაში პროექტში ჩართული ასეთი მკვლევრების დაფინანსება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს, 12 თვიანი პროექტის შემთხვევაში - 6 000 ლარს, 18 თვიანი პროექტის შემთხვევაში - 9 000 ლარს, 24 თვიანი პროექტის შემთხვევაში - 12 000 ლარს.

6. **დამხმარე პერსონალის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთი პირის **შრომის ანაზღაურება** არ უნდა აღემატებოდეს 300 ლარს თვეში. 6 თვიანი პროექტის შემთხვევაში პროექტში ჩართული ყველა დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 1 800 ლარს, 12 თვიანი პროექტის შემთხვევაში - 3 000 ლარს, 18 თვიანი პროექტის შემთხვევაში - 4 500 ლარს და 24 თვიანი პროექტის შემთხვევაში - 6 000 ლარს;

7. **პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯები** ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს პროექტის განმავლობაში. ხარჯი შეიძლება შედგებოდეს: ა) პროექტით დაგეგმილი შედეგებისათვის გასაწევ ხარჯებს; ბ) კვლევისათვის საჭირო აპარატურის, ტექნიკის ან სახარჯი მასალის შესყიდვის ხარჯებს. ხარჯების ოდენობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) პროექტით დაგეგმილი შედეგებისათვის გასაწევი ხარჯები:

ა.ა) **სტატიის გამოქვეყნება** - (ან გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღება) რეიტინგულ ან არარეიტინგულ ჟურნალში - მაქსიმუმ 3 000 ლარის ოდენობით;

ა.ბ) **ბეჭდური პროდუქციის გამოცემა -** მონოგრაფია, წიგნი, სახელმძღვანელო, კრებული (მათ შორის საკონფერენციო მასალების, თეზისების), ლექსიკონი, მეთოდური რეკომენდაცია, საგანმანათლებლო/დამხმარე მასალები, დისერტაცია, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომები - მაქსიმუმ 5 000 ლარის ოდენობით;

ა.გ) **ელექტრონული პროდუქციის გამოცემა -** მონოგრაფია, წიგნი, სახელმძღვანელო, კრებული (მათ შორის საკონფერენციო მასალების, თეზისების), ლექსიკონი, მეთოდური რეკომენდაცია, საგანმანათლებლო/დამხმარე მასალები, დისერტაცია, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომები, აუდიო/ვიდეო პროდუქტები - მაქსიმუმ 1 500 ლარის ოდენობით;

ა.დ) **პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე საქართველოში** - მაქსიმუმ 1 500 ლარის ოდენობით;

ა.ე) **პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე საზღვარგარეთ** - მაქსიმუმ 4 000 ლარის ოდენობით;

ა.ვ) **ციფრული ტექნოლოგიის შექმნა -** ვებგვერდი, აპლიკაცია, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზა, პლათფორმა - მაქსიმუმ 2 000 ლარის ოდენობით;

ა.ზ) **სამეცნიერო ღონისძიების (ფორუმი, ვორქშოპი, კონფერენცია, სიმპოზიუმი, კონგრესი და სხვა) ორგანიზება საქართველოში** (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის) - მაქსიმუმ 12 000 ლარის ოდენობით;

ა.თ) **ექსპედიცია საქართველოში** - მაქსიმუმ 6 000 ლარის ოდენობით;

ა.ი) **ექსპედიცია საზღვარგარეთ** - მაქსიმუმ 25 000 ლარის ოდენობით;

ა.კ) **სხვა შედეგები** (ასეთის არსებობის შემთხვევაში უცილებელია დაკონკრეტება და სრულად განმარტება) - მაქსიმუმ 2 000 ლარის ოდენობით;

ბ) **კვლევისათვის საჭირო აპარატურის, ტექნიკის ან/და სახარჯი მასალის შესყიდვა** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - მაქსიმუმ 8 000 ლარის ოდენობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია დაკონკრეტება და სრულად განმარტება);

8. სავალდებულოა, პროექტით დაგეგმილი იყოს ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შედეგებიდან მინიმუმ ერთი შედეგი ინდივიდუალური პროექტის შემთხვევაში და მინიმუმ ორი შედეგი - გუნდური პროექტის შემთხვევაში. დაუშვებელია, რომელიმე შედეგი ორჯერ იყოს დაგეგმილი.

9. **ზედნადები ხარჯი** - გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ გუნდური პროექტების შემთხვევაში და გულისხმობს პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევ არაპირდაპირ ხარჯებს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 5%-ს.

10. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, თანადამფინანსებლის მხრიდან დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.

11. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

12. გრანტის სახსრებით დაუშვებელია: უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი ან შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

13. თითოეული 6-თვიანი საანგარიშო პერიოდისათვის მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება გრანტის მიმღების მიზნობრივ ანგარიშზე ტრანშის სახით.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) **კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ** (დანართი №2 - ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) **საპროექტო წინადადების** I ნაწილი - პროექტის სამეცნიერო მნიშვნელობა (დანართი №3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) **საპროექტო წინადადების** II ნაწილი - პროექტის განხორციელებადობა (დანართი №4, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

დ) **პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები** (CV) ქართულ ენაზე (დანართი №5 - ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის" რეგისტრაციის დროს). იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი მკვლევარი ვერ/არ ავსებს „მეცნიერის პროფილს" ქართულ ენაზე, მისი „მეცნიერის პროფილი" შევსებული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, ხოლო CV-ის ინგლისურიდან ქართულად თარგმნასა და პროექტის რეგისტრაციისას მათ წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი. **CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ინგლისურენოვან CV-ში შესაძლებელია ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ინგლისურად, ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითებით.** ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილიდან" CV-ები დაგენერირდება ბაზაში, ექსპორტირდება და PDF დოკუმენტის სახით იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას ხელმძღვანელის მიერ.

ე) **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** (დანართი №6 - ივსება GMUS-ში);

ვ) **პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** (დანართი №7 – ივსება GMUS-ში);

ზ) **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის ან ფიზიკური პირის მიერ და დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სავალდებულოა, ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

ზ.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №8-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ზ.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი №8-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის

სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, დოკუმენტს უნდა ერთვოდეს მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

თ) **პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი** (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2025 წელს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით;

ი) **პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები** (დიპლომი, სერტიფიკატი, ასევე დოქტორანტურის, მაგისტრატურის ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შემთხვევაში - ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან გაცემული 2025 წელს); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით, რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით, ასევე პროექტში - ძირითადი პერსონალის ველში.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის წარმდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი **„განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“** (დანართი №9 გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ორიგინალი ხელმოწერით და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე;

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები (ლარის საბანკო ანგარიში), რომელზეც მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნიათ დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

5. **პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.**

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

   ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2025 წლის 1 სექტემბრიდან 22 სექტემბრის 16:00 საათამდე;

   ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2025 წლის 30 სექტემბერის 18:00 საათამდე.

2. **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

   ა) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

   ბ) სავალდებულოა, პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

   გ) პროექტის რეგისტრაცია კონკურსზე და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის ა-ზ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტების ატვირთვა.

3. **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

   ა) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია - 1 სექტემბრიდან 22 სექტემბრის 16:00 სთ-მდე;

   ბ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის

   ვებგვერდზე;

   გ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა - 30 სექტემბერის 18:00 სთ-მდე;

დ) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა - 2025 წლის სექტემბერი-ოქტომბერი;

ე) შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ - 2025 წლის ოქტომბერი;

ვ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება და დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა კომისიის მიერ - 2025 წლის ოქტომბერი-ნოემბერი;

ზ) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება - 2025 წლის ოქტომბერი-ნოემბერი;

თ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება და დაფინანსება - 2025 წლის ნოემბერი.

2. რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია, საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;

ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით;

გ) კომისიის მიერ პროექტების შინაარსობრივი მსგავსების გამოვლენის შემთხვევაში, თუ დადგინდება კონკურსის მონაწილის მიერ სამართლებრივი ან/და ეთიკის ნორმების დარღვევა, პროექტები მოიხსნება კონკურსიდან.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტების შეფასებისათვის აუცილებელ პროცედურებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის დებულების მე-8 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. საგრანტო ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესების დაცვით.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ სახაზინო/საბანკო ანგარიშზე 30 კალენდარული დღის ვადაში ავანსის სახით საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებად.

4. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია საანგარიშო პერიოდში გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული/არგუმენტირებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან;

ბ) გამარჯვებული პროექტის ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს;

გ) პროექტის განხორციელების ვადის გაგრძელება შეიძლება მაქსიმუმ 1 წლით დამატებითი დაფინანსების გარეშე საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს ფონდი განახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანების მე-10 მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით.

2. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:
ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული აქტივობებისათვის გაწეული ხარჯების შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას „პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის“ შესაბამისად. ფონდი უფლებამოსილია პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

3. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გრანტის გამცემს წარუდგინოს პროექტის განხორცილების ანგარიში გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

4. საგრანტო ხელშეკრულების მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ გაწეული ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციას; საგრანტო პროექტის განხორციელების დამადასტურებელ პროგრამულ ანგარიშსა და პროექტით გათვალისწინებული შედეგების შესრულების დამადასტურებელ ნაბეჭდ, ფოტო/აუდიო/ვიდეო და ელექტრონულ დოკუმენტაციას.

5. ფინანსური და პროგრამული ანგარიშებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის სისწორესა და სინამდვილეზე, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების მიზნობრივად გაწევაზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები.

6. საგრანტო პროექტის შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებთან შეუსაბამო/განსხვავებული ხარჯების განხორციელების გამოვლენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღებს მოსთხოვოს დამატებითი დასაბუთება გაწეული ხარჯის მიზნობრიობის დასადგენად. დაუსაბუთებელი ან არასაკმარისად დასაბუთებული ხარჯები ჩაითვლება არამიზნობრივად, ხოლო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა.

7. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს მონიტორინგი საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.

8. საგრანტო პროექტის შუალედური ანგარიშის განხილვის საფუძვლზე ფონდი ადგენს შესაბამის განხილვის აქტს და მის საფუძველზე გადარიცხავს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ავანსის სახით.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 სექტემბრის №153/ნ ბრძანების მე-11 მუხლში განსაზღვრული წესითა და საგრანტო ხელშეკრულებით.

2. გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა და აუთვისებელი ნაშთი.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და სხვა ბეჭდვით პროდუქციაზე.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number …]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ პუბლიკაციაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

2. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა, განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ

საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.

3. გრანტის მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციის როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსიის (PDF ფორმატით) გადაცემა გრანტის გამცემისთვის.

4. გრანტის გამცემი უფლებამოსილია, გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი, ელექტრონული ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

5. პროექტის შედეგად შექმნილი პროდუქტი სასურველია იყოს ღია ხელმისაწვდომობის და გამოყენეულ იქნეს ღია მეცნიერების პრინციპების დაცვით.